ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N13

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 03.04.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - *ალექსანდრე ლილუაშვილი.*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, ელენე ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე, ბიჭიკო პაიკიძე, გია ხარაბაძე, გელა ღვიტიძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე,

(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

მერიის ადმინისტრაციის და შესყიდვების სამსახურის სახელწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი უფროსის -**ვანდა გიორგაძე.**
მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის,იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- **ნარგიზი ალფაიძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14 საათ[illegible] გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

   მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

   მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

   მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

4. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

   მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

5. „ვანის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ იმ დასახლებისათვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

6. „ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი-სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

7. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

8. ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი: /ნარგიზი ალფაიძე/

9. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ორიენტირი“-სთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი: /ვანდა გიორგაძე/

10. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გი-ან 2011“-თან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი: /ვანდა გიორგაძე/

11. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ [illegible] „საქმილსადენმშენი“-სთან სახელმწიფო შესყიდვების [illegible] თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი: [illegible]

12. ვანის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2017 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ;

მომხსენებელი: /ვანდა გიორგაძე/

13. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მე-2 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელი: /გიორგი ივანიაძე/

14. სხვადასხვა.

ვადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხზე მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში ტექნიკური ხასიათის ცვლილებაა, კერძოდ დანართი N-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველებისა და მათი პოპულაციის მართვისა და კონტროლის ორგანიზება განეკუთვნება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას. ზომების განხორციელება მუნიციპალიტეტის მერიას შეუძლია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირის ან კანონმდებლობით დადგენილი წესით ამისოდ უფლებამოსილი პირის მეშვეობით.“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძაღლების და კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

[illegible]

[illegible]

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე [illegible] კატების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 აპრილის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(დანართი: დადგენილება N 100)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხზე გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითადი ცვლილება დებულებაში არის შემდეგი:
დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ"

დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმა თანდართული ფორმების (დანართი N1, დანართი N2, დანართი N3, დანართი N4 და დანართი N5) შესაბამისად."

[illegible] წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ [illegible] უყარა დადგენილების პროექტს

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის და არქიტექტურის სამსახურის, როგორც სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოს, სამშენებლო საქმიანობაზე სამართალდარღვევის საქმისწარმოების დოკუმენტების ფორმის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N34 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

[illegible] წარმოდგენილ მესამე საკითხზე მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ წარმოადგინა ცვლილებები, რომელიც შევიდა ამ დებულებაში:

დანართის მე-2 მუხლის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გამცემი - ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური."

დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გარე რეკლამის განთავსების გეგმის პროექტს ამზადებს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური ან/და მისი მომზადება ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე შესაბამისი მომსახურების შესყიდვით."

დანართის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გარე რეკლამის განთავსების ნებართვას აუქციონში გამარჯვებულ პირზე დადგენილი წესით გასცემს ვანის მუნიციპალიტეტის მერია."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 23 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(დანართი: დადგენილება N 102)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხზე მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა წარმოადგინა შემდეგი ხასიათის ცვლილება: დანართი N1-ის 1-ლი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოსაკრებელი ამოიღება ამ წესის შესაბამისად."

დანართი N1-ის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ქვითარი შენახული უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში. ქვითრის დაკარგვის შემთხვევაში მის ადგენას დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ახდენს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური."

დანართი N1-ის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: კონტროლი მოსაკრებლის გადახდევინებისათვის დასუფთავების წესების დარღვევაზე და დამრღვევთა მიმართ „ნარჩენების მართვის კოდექსით" გათვალისწინებული ნორმების განხორციელებაზე კონტროლი ეკისრება ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს." დანართი N2-ის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:,, დაგვა-დასუფთავების ობიექტების ჩამონათვალს ადგენს ვანის მუნიციპალიტეტის მერია."

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს„ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 10 ნოემბრის N49 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(დანართი: დადგენილება N 103)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხზე მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ იმ დასახლებისათვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში შევიდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები. კერძოდ, ძალადაკარგულად გამოცხადდეს დადგენილების მე-2 მუხლი.
დანართის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ სხდომის აუდიოვერსია და ოქმი ინახება ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში.“
დანართის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„კანდიდატთა სიის დადგენის შემდეგ რჩეული, ან მისი არყოფნის შემთხვევაში - ამ დებულების მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული პირი, აცხადებს კენჭისყრას. რჩეულის არჩევნები ტარდება ღია ან ფარული კენჭისყრით, ბიულეტენების საშუალებით, რომლის ფორმასაც ადგენს მუნიციპალიტეტის მერი.“
წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ იმ დასახლებისათვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხრე – 27
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ იმ დასახლებისათვის, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ აღემატება“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(დანართი: დადგენილება N 104)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ წარმოადგინა შემდეგი ცვლილებები:

დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“

დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესი“ დანართი N1-ის შესაბამისად.“

დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს „ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა“ დანართი N2-ის შესაბამისად.“

ასევე დადასტურებულად გამოცხადდეს დადგენილების მე-5 მუხლი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დაგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესის, პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 თებერვლის N5 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

(დანართი: დადგენილება N 105)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა წარმოადგინა შემდეგი ცვლილებები: დანართის 1-ლი მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

სამსახურის საშტატო განრიგი და მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით.“

დანართის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამსახურის რეორგანიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.“

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N64 დადგენილებით დამტკიცებულ „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის დებულებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(დანართი: დადგენილება N[illegible])

დღის წესრიგით წარმოდგენილ მერვე საკითხთან მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის“ დაფუძნების თაობაზე ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა აღნიშნა, აუცილებელია საკრებულოს თანხმობა ახალი ა(ა)ი.პ ,,ვანის ტურიზმის ცენტრის" შექმნაზე. წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის" დაფუძნების თაობაზე ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ".

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ა(ა)იპ „ვანის ტურიზმის ცენტრის" დაფუძნების თაობაზე ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

(დანართი: განკარგულება N 27 37)

[illegible]ის წესრიგით წარმოდგენილ მეცხრე საკითხთან მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინ[illegible]-[illegible]ნკარგულების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობ[illegible]-[illegible]ზოგადოება „ორიენტირი"-სთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზ[illegible] [illegible]ანხმობის მიცემის შესახებ;

[illegible]ეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიას დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ [illegible]ელშეკრულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ორიენტირისთან" შემდეგ[illegible]-[illegible]მუშაოების განხორციელების თაობაზე:

[illegible]ბაღლება საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია /კოპიტნარ[illegible] [illegible]იმართულებით/, თანხით 629415,00 ლარი;

[illegible]ორა - უხუთის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზ[illegible] [illegible]ეაბილიტაცია თანხით 295073,31 ლარი;

[illegible]ბაღლება საპრასიის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზ[illegible] [illegible]ეაბილიტაცია /ინაშაურის მიმართულებით/, თანხით 233288,51 ლარი;

[illegible]არმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარ[illegible] [illegible]ანკარგულების პროექტსვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის [illegible]ზოგადოება „ორიენტირი"-სთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე [illegible]ანხმობის მიცემის შესახებ;

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ორიენტირი“-სთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(დანართი: განკარგულება N 27 38

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეათე საკითხთან მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გი-ან 2011“-თან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიას დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “გი-ან 2011“-თან შემდეგი სამუშაოების განხორციელების თაობაზე:

ა) ვანში წერეთლის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 195397,08 ლარი; ქ. ვანში ბერიძეგაძის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 194720,48 ლარი;

გ) ვანში წმინდა ნინოს ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 409698,59 ლარი;

დ) ვანი გადიდის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 249183,84 ლარი;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი ყარა განკარგულების პროექტს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გი-ან 2011“-თან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გი-ან 2011“-თან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(დანართი: განკარგულება 27 39

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთერთმეტე საკითხთან მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქმილსადენმშენი“-სთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერიას დადოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "საქმილსადენმშენი"-სთან შემდეგი სამუშაოების განხორციელების შესახებ.

ტობანიერი - ყუმურის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 293806,75 ლარი;

ქ. ვანში 26 მაისის ქუჩის პირველი შესახვევის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია თანხით 142106,43 ლარი;

ქ. ვანში ერისთავის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, თანხით 337196,88 ლარი;

გზვანის თემის დაფნარი-ვანი-ბაღდათის მაგისტრალთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, თანხით 448789,94 ლარი;

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქმილსადენმშენი"-სთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საქმილსადენმშენი"-სთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(დანართი: განკარგულება 27 40)

ვანის წესრიგით წარმოდგენილ მეთორმეტე საკითხთან მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა ,,ვანის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2017 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ ისაუბრა 2017 წლის შესყიდვების შესახებ. კერძოდ, ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2017 წლის 11 იანვარს ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის N20 165 ბრძანებით და განისაზღვრა 1 907 171 ლარით.

2017 წლის განმავლობაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2017 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 7 028 490 ლარი.

[illegible] 18 795 ლარი;გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 118 [illegible]ბულებაკონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 13 ხელშეკრულება.2017 [illegible] განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულია 75 ელექტრონული ტენდერი. [illegible]ედან: შესრულებულია -39; შეუსრულებელი - 1; მიმდინარე - 7; არ შედგა -21; დასრულებულია უარყოფითი შედეგით-6; შეწყვეტილია-1.

გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 118 ხელშეკრულება. მათ შორის: მონეტარული ზღვრების დაცვით 98; გადაუდებელი აუცილებლობით -7.

ამ ინფორმაციაზე საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეცამეტე საკითხზე მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინ[illegible] განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მე-2 კვარტლის სამუ[illegible] გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხსენებელმა მოკლედ გააცნო საკრებულოს წევრებს მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ. კერძოდ, ვანის მუნიციპალიტეტი 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვა, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების საკითხების განხილვა, საკრებულოს აპარატის 2017 წელ[illegible] გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა, ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენა, ვანის მუნიციპალიტეტის მერის მიერ სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ ანგარიშის მოსმენა, შინაური ცხოველების ყოლის წესის დადგენა, ვანის მუნიციპალიტეტში განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორი[illegible] ავტომანქანების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფის ღონისძიებატა დაგეგმისა და დგომა-გაჩერების წესების დადგენა, ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, ბაზრებისა [illegible] ბაზრობების რეგულირების წესების დადგენა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მე-2 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხრე – 27

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მე-2 კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ;

(დანართი: განკარგულება 27 41)

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით სიტყვა ითხოვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ.

ჯორჯი ივანიაძე: მოგახსენებთ, რომ 1 მაისიდან მკაცრდება კანონი თამბაქოს მწეველებისათვის. აკრძალული იქნება თამბაქოს მოწევა ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი გამონაკლისისა
საზოგადოებრივ ტრანსპორტში გარდა ტაქსისა და კატერისა

საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, სასწავლო დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, მოსწავლე ახალგაზრდობის ბანაკების, ბავშვთა გასართობი ცენტრების და 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილი სხვა დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე. აგრეთვე 18 წლამდე ასაკის პირებისთვის განკუთვნილ საზოგადოებრივ შეკრებებზე

სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებების შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე

მეზობლებისამართი, გაზგასამართი და გაზგასამართი და გაზგამანაწილებელი სადგურების, ასევე ავტოსალონში ნივთიერებების შემნახველ შენობა-ნაგებობებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე . გამოყენებული იქნება კანონის დამრღვევებისთვის ფულადი ჯარიმები. ასე რომ ეფექტიანობრებო გავუფრთხილდეთ საკუთარ ჯანმრთელობას, სხვის ჯანმრთელობას და საკუთარ ბიუჯეტს.

ვანის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე